კოლხეთი ძვ. წ. I ათასწლეულში - აღმოსავლური ტენდენციები

ვახტანგ ლიჩელი
არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი.

რეზიუმე: ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კოლხურ კულტურაში უკვე ჩანს აღმოსავლური იმპულსები, რაც, როგორც ცნობილია, ჰასანლუს ტიპის სატევრების სახითაა დადასტურებული (თ. მიქელაძე). ასეთივე იმპულსები ჩანს სამხრეთ საქართველოში, სადაც ძვ. წ. VII-VI საუკუნეების სამარხებში (მზეთამზე) მიკვლეულია კალმეიერის 31-35 (ნეო-ბაბილუნური) ჯგუფისათვის ტიპური სატევარი, რომელიც ლურისტანში ჩანს დამზადებული. ამავე შესაძლებლობას უსვამს ხაზს საწვივე რგოლების სამარხში ჩაყოლების ფაქტიც, რაც გარდა საქართველოში ცნობილი სამაროვნებისა, დადასტურებულია, აგრეთვე, ლურისტანშიც. აქემენიდურ ხანაში კოლხეთის თანამედროვე ტერიტორია ორ ნაწილადაა გაყოფილი - საკუთრივ კოლხეთის სამეფოს ტერიტორია მდ. რიონის სამხრეთით (გ. მელიქიშვილი), რომელიც მთლიანად ბერძნულ სამყაროზეა ადრესირებული და შიდა კოლხეთი, რომელიც მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია აქემენიდურ სამყაროზე (ო. ლორთქიფანიძე), რის გამოც სწორედ აქ არის კონცენტრირებული აქემენიდური (ან "აქემენიდიზირებული") იმპორტი და ტრადიციები. თუმცა, უფრო დასავლეთით, სოფ. ჩიბათში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს აქემენიდური ლაგამი, რომლის შესრულების მხატვრული დონე სრულიად განსაკუთრებულია (ძვ. წ. V-IV სს-ბი). აქემენიდური ინტერესების დასავლეთი საზღვარი კავკასიაში არის საირხე-ვანი-აწყური-მდ. ჭოროხის აუზის შემაერთებელი ხაზი. სუსტი აქემენიდური ტრადიციები შენარჩუნებულია ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნის ვანში. ხოლო ძვ.წ. III საუკუნიდან მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე დასტურდება (გარდა ელინიზირებული ქალაქებისა - ვანი, ეშერა) ასევე საკმაოდ სუსტი ელინისტური გავლენა.

საკვანძო სიტყვები: *კოლხეთი, მზეთამზე, ლურისტანი, აქემენიდები, ჩიბათი.*

კოლხეთის სამეფო ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათაწლეულის დასაწყისში ერთადერთი დაწინაურებული სახელმწიფო გაერთიანება აღმოჩნდა კავკასიის რეგიონში [41, 1-38; 42, 2-22]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია საზოგადოების განვითარების ამსახველი უაღრესად შთამბეჭდავი სურათი: ბრინჯაოსა და რკინის დაწინაურებული მეტალურგია, განვითარებული მიწათმოქმედება, ტრადიციული სამშენებლო საქმე, მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშები, სოციალურად განვითარებული საზოგადოება და მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი კოლხეთის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ხანაა. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ სწორედ ამ ხანაში არსებობს კოლხეთის სახელმწიფო, რომელიც მოიხსენიება ძველ ასურულ და ურარტულ წარწერებში, ისევე როგორც ძველ ბერძნულ ლიტერატურაში და დაკავშირებულია ელინურ სამყაროში კარგად ცნობილ მითთან არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის შესახებ [41, 1-38].

არქეოლოგიური თვალსაზრისით ამ პერიოდის კოლხეთში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სპეციფიური მოვლენა, რომელთაგან ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენენ კოლექტიური სამარხები [37, 109-115]. ასეთი სამარხები (ურეკის, ნიგვზიანის, დღვაბას, ერგეტას სამაროვნები) ჩვეულებრივ შეიცავენ დიდი რაოდენობით არტეფაქტებსა და ინდივიდთა ნაშთებს. კოლხური კოლექტიური სამარხების დამახასიათებელი ნიშნებია: საკულტო მოედნები, დიდი ზომის კოლექტიური სამარხი ორმოები, გარდაცვლილის მეორადი დაკრძალვის წესი [12, 4-19]. ასეთი სამარხების ოპტიმალური მოდელი ასეთია: გარდაცვლილის დასამუშავებლად გამართული მაგიდა, მსხვერპლშესაწირი და კრემაციული მოედნები [12, 4-19]. ერთ-ერთი ტიპური მაგალითია ერგეტაში გათხრილი ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სამარხი #4 (II სამაროვანი) [47, 152-154]. სამარხი ორმოს კონტური გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 70-80 სმ-ის სიღრმეზე. დრომოსი გამოვლინდა სამარხის ჩრდილო ნაწილში, მისი სიგანე აღწევს 3 მ-ს და მიმართულია ცენტრისკენ. სამარხი გეგმაში მსხლისებური

მოყვანილობისაა. სამარხის სიგრძე შესასვლელის ჩათვლით აღწევს 11 მეტრს, ხოლო სიგანე 5 მ-ზე მეტია. კულტურული ფენის სისქე ცენტრალურ ნაწილში აღწევს 40 სმ-ს, სამხრეთით 10 სმ-ს. ორმოს იატაკი 80 სმ-ის სიღრმეზეა ჩრდილოეთ ნაწილში და 1,6 მ-ის სიღრმეზე სამხრეთ ნაწილში. ოსტეოლოგიური მასალა პრაქტიკულად არაა შემორჩენილი. კბილები დაშლილია და დანაწევრებული, მაგრამ თავიანთ ბუნებრივ მდებარეობაშია შემორჩენილი. არტეფქტი სულ 596 - ია, რომლებიც 44 ჯგუფში ერთიანდება. სამარხეული ინვენტარის დასამზადებლად გამოყენებული მასალაა: თიხა, ქვა, კაჟი, ხე, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, ტყვია, ვერცხლი, ოქრო, ნახევრად-ძვირფასი ქვები, ქარვა და პასტა. მათი დანიშნულება სხვადასხვაგვარი იყო: სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, იარაღები, სამეურნეო ხელსაწყოები, სამოსთან დაკავშირებული ელემენტები, მძივები, ყელსაბამები და მცირე ზომის ქანდაკებები და სხვა. ამ სამარხში „ლეოპარდისა" და ორთავიანი ვერძის ქანდაკება დადასტურდა. სხვა კოლექტიურ სამარხებში (ურეკი, დღვაბა, ერგეტა) აღმოჩნდა მხედარი ქალებისა და ხარების ბრინჯაოს ქანდაკებები [42, 2-22], საინტერესოა, რომ პარალელები ბერძნულ სამყაროში მოეპოვება არა მხოლოდ მხედარი ქალების ქანდაკებებს (რაც კარგადაა ცნობილი), არამედ ხარების ქანდაკებებსაც [49, 220-236]. პალეობოტანიკური მასალიდან სამარხში დადასტურდა მიწის თხილი, წაბლი და ფეტვი.

პირველად სწორედ კოლექტიურ სამარხებში იჩენს თავს აშკარა კონტაქტები ირანულ სამყაროსთან. მხედველობაში მაქვს კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილი ე. წ. მესამე ტიპის მთლიანად სხმული სატევრები, რომლებიც მოპოვებულია ერგეტას #1 სამაროვნის #5 სამარხ ორმოში (2 ცალი), ამავე სამაროვნის #7 სამარხ ორმოში (1 ცალი), #3 სამაროვნის #2 სამარხ ორმოში (1 ცალი) და დღვაბას სამაროვნის #1 სამარხ ორმოში (2 ცალი). ეს არის ე.წ. "წინააზიური ტიპის" სატევარი, რომელსაც უახლოესი ანალოგიები აქვს ჰასანლუ IV სატევრებთან [21, 43; 20, 57; სხვათაშორის, ამავე ტიპის სამარხებიდან ცნობილია სეევანისპირული სატევარიც. შეად. 13, 13-15]. ჰასანლუ IV ტიპის სატევრები [შეად. 29, 31-70]

ცნობილია აგრეთვე თლიას სამაროვნიდან (სამარხები #236, 51, 97). ითვლება, რომ ამ ტიპის სატევრების აღმოჩენა კოლხურ სამაროვნებში ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ისინი არსებობას განაგრძობენ ძვ.წ. 600 წლამდე [20, 57].

ასევე ირანულ სამყაროს უკავშირდება სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, მზეთამზის სამაროვანზე გათხრილ კენოტაფში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევარი, რომელსაც ყველაზე ახლო ანალოგიები აქვს Calmeyer-ის მიერ გამოყოფილ ჯგუფში 31-35 და ნეო-ბაბილონური ეტაპის მასალაშია გაერთიანებული [45, 113-129; Diagram of Calmeyer's Groups 31-53]. ამ სატევრის პირველ პუბლიკაციაში მე სწორედ ეს თარიღი - ძვ. წ. VII-VI სს. მივუთითე [27, 363]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სატევარი ლურისტანშია დამზადებული. მზეთამზის სამაროვანზე, სადაც ამ პერიოდში კოლხური კულტურის ინფილტრაცია სრულიად აშკარაა, დადასტურებულია აგრეთვე საწვივე რგოლების ჩაყოლების ფაქტიც, რასაც ანალოგია აქვს არა მხოლოდ თლიას სამაროვანზე, არამედ პირდაპირი და სინქრონული პარალელი აქვს ლურისტანში, კერძოდ, Gul Khanan-ის სამაროვნის №37 სამარხთან, სადაც ემბრიონალურ პოზაში დაკრძალულ მიცვალებულს ფეხებზე ასევე საწვივე რგოლები ჰქონდა ჩამოცმული [28, 35]. არ არის გამორიცხული, რომ ადრეული კონტაქტების მანიშნებელია ე.წ. ყურმილიანი დოქების მთელს კოლხეთში გავრცელების ფაქტი [4, 34-36; 5, 21]. ისინი აღმოჩენილია ძვ. წ. VII-IV სს-ის თითქმის ყველა ძეგლზე: ბათუმის ციხე, ფიჭვნარი, კოხი, სიმაგრე, ოჩამჩირე, ერგეტა, მთისძირი, დაბლაგომი, ქუთაისი, ყულევი, ბრილი და სხვ. ბოლო წლებში ყურმილიანი დოქების აღმოჩენის ფაქტებმა იმატა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ძეგლებზეც. ამ ტიპის კერამიკა პირველად თავს იჩენს დასავლეთ ირანში (უკანასკნელ წლებში, მაგალითად, დადასტურებულია Qalaichi–ში. შეად: Fine Ware, 800-600 BC. [44].

კოლხეთის ისტორიის შემდგომი ეტაპი ორ მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება: კონტაქტების გააქტიურებას ბერძნულ სამყაროსთან და აქემენიდების

გამოჩენას. ამ შემთხვევაში მეორე მოვლენაზე შევაჩერებ ყურადღებას. კავკასიაში და კერძოდ, ამიერკავკასიაში აქამენიდების გამოჩენას საკმაოდ დიდი რაოდენობის პუბლიკაციები მიეძღვნა. ამ კატეგორიის ნაშრომთაგან უკანასკნელი იყო ფ. კნაუსის გამოკვლევა [34], რომელშიც თითქმის სრულად აისახა 2006 წლამდე არსებული არქეოლოგიური მასალა. მაგრამ იმის გამო, რომ რეგიონში არქეოლოგიური გამოკვლევები კვლავ გრძელდება, დაგროვდა საკმაო რაოდენობის მონაცემები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, სრულიად ახლებურად წარმოაჩენენ ამიერკავკასიურ და აქემენიდურ ურთიერთობებს. ამასთან, გამოჩნდა ძველი ქართული წერილობითი წყაროების ახლებური ინტერპრეტაციები, რომელთა მიხედვით აქემენიდური სამყაროს როლი ბევრად უფრო აქტიური ჩანს, ვიდრე ეს აქამდე ივარაუდებოდა.

აქემენიდები კოლხეთში გამოჩნდნენ უკვე დარიოს I-ის დროს. B. Jacobs მიუთითებს, რომ აქემენიდების მმართველობა კავკასიის რეგიონში დამყარდა ძვ.წ. 513-512 წლებისათვის დარიოს I-ის სკვითური ლაშქრობის დროს [31]. სპარსელების აქტივობა ჩრდილო-კავკასიურ არეალში შეზღუდული იყო და არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ კავკასიონი აყალიბებდა იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარს აქემენიდური ხანის მთელი პერიოდის მანძილზე ან ყოველ შემთხვევაში, დარიოსის შემდგომ პერიოდში [31]. ამავე მოსაზრებას იზიარებენ სხვა მკვლევარებიც [35], თუმცა არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც [8, 141-165]. ამ ხანის წერილობითი წყაროების არქეოლოგიური ფონი ასეთია: კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ორი ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული მდიდრული სამარხების მიხედვით, კოლხური არისტოკრატიის საცხოვრისი ივარაუდება. ეს არის ვანი და საირხე. ამავე დროს, კოლხეთისათვის ეს პერიოდი არის ბერძნულ სამყაროსთან განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობების დაწყების ხანა [3]. ლითონის ნაწარმის ერთგვაროვნება, კერამიკის სტანდარტიზაცია, ფულადი მიმოქცევის გააქტიურება, ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა მკვლევართა ერთ ნაწილს აფიქრებინებს, რომ ამ ხანის კოლხეთი ერთიან, პოლიტიკურად და ეკონომიკურად

განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა [9; 10; 6]. ცნობილია, რომ აქემენიდური კულტურის გავლენა კოლხეთის ტერიტორიაზე ძლიერია, რაც განსაკუთრებით კარგად აისახა კოლხურ ხელოვნებაში (ოქრომჭედლობის ნიმუშები ვანიდან და საირხედან [17, 8]), თუმცა თვალშისაცემია მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც არსებობდა კოლხეთის სანაპირო ზოლსა და შიდა კოლხეთს შორის: სანაპირო დასახლებები მთლიანად ბერძნული ორიენტაციისაა და იქ ნაკლებად იგრძნობა აქემენიდური ტენდენციები. ამისი ნათელი მაგალითია ქობულეთ - ფიჭვნარის ბერძნულ და კოლხურ ნეკროპოლებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძვ.წ. V-IV სს განეკუთვნება (შეად.: 49; 2, 43-69]. ამ მასალის აბსოლუტური უმრავლესობა ამ სამაროვანზე ბერძნული ან ადგილობრივია (ერთი მხრივ, ეს არის სხვადასხვა ბერძნულ საწარმოო ცენტრებში დამზადებული ამფორები, ბერძნული წითელფიგურული კერამიკა - მათ შორის სრულიად უნიკალური კრატერებიც - კილიკები, ლეკითოსები, კანთაროსები, არიბალოსები, ბოლსალები, ფიალები, სხვადასხვა ბერძნული ცენტრების მონეტები, სტრიგილოსები და ა.შ. და მეორე მხრივ, ადგილობრივი წარმოების კერამიკა და ოქროს სამკაული). ამ სამაროვანზე იშვიათი გამონაკლისია ირანული წარმოების კოლ-ტუბის აღმოჩენის ფაქტი (D. Barag-ის I ჯგუფი, თარიღდება ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით, [33, 31-47] და აქემენიდური ტიპის ზურგშეზნექილი ოქროს სამაჯური. ამ ფონზე აქემენიდური ტენდენციები ვანსა და საირხეში აღმოჩენილ ძვ.წ. V-IV სს-ის ინვენტარში სრულიად აშკარაა. საკმარისია დავასახელოთ ლომისა და ხარის ბრძოლის თემა ვანის დიადემაზე, აქემენიდური სამაჯურები, ან #24 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სარტყლის მოხატულობა, სადაც აქემენიდური თასია წარმოდგენილი [32, 293]; ან საირხის ოქროს საკიდები აჰურამაზდას გამოსახულებით [12], მთისძირის ვერცხლის რიტონი [26, 211-216], არამეულის გამოყენება ბერძნულთან ერთად (ძვ. წ. V ს-ის კილიკი საირხედან, რომელზეც ბერძნული და არამეული ასოებით შესრულებული მონოგრამაა შემორჩენილი [25, 126]), აქემენიდური ტიპის საყბეურები საირხედან, სუდარის შესამკობი აპლიკაციები (არწივების ოქროს გამოსახულებები),

რომლებიც აქემენიდურ სამეფო სტანდარტებს შეესაბამება, საირხის ორმაგპროტომიანი კაპიტელი [15] და სხვა. აშკარაა, რომ კულტურულად მაინც, კოლხეთი (მისი თანამედროვე გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით) ორ ნაწილადაა გაყოფილი – სანაპირო ზოლი აქცენტირებულია დასავლეთით ანუ ბერძნულ ცენტრებზე, ხოლო ცენტრალური და შიდა რაიონები კი - აღმოსავლეთით, ანუ ირანზე. ერთგვარი გამყოფი ხაზი ამ თვალსაზრისით ჩანს საირხე – ვანის ზოლი, რადგან ვანის დასავლეთით მდებარე კოლხური სამოსახლო ნამარნუ, სადაც ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურული ფენებიცაა დადასტურებული, არ შეიცავს არანაირ აქემენიდურ მასალას [14, 46-67]. მიიჩნევენ, რომ ნამარნუ არის ის " ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა" და რომელიც ფსევდო-სქილაქს კარიანდელის "პერიპლუსში" მოიხსენიება. [შეად. 1, 50-58]. საირხე-ვანის ხაზი სამხრეთით სამცხეში, აწყურში გრძელდებოდა, სადაც საგრძნობი აქემენიდური გავლენა ჩანს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ვანი-აწყურის შემაერთებელ ტრასაზე, რომელიც კოლხეთში აკუმულირებული ბერძნული იმპორტის სამხრეთ საქართველოში გადატანის ერთ-ერთ მთავარ გზას წარმოადგენდა [37, 33-34] აღმოჩენილია აქემენიდური მონეტები [7, 207]. მონეტები აღმოჩნდა სოფ. სულორის ტერიტორიაზე, რომელიც კოლხეთიდან სამხრეთ საქართველოში გარდამავალი გზის დასაწყისში მდებარეობს. განძში შედიოდა 700-მდე ვერცხლის მონეტა, რომელთა შორის უმეტესობას კოლხური თეთრი წარმოადგენდა. მათთან ერთად იყო აგრეთვე ე.წ. კრეზოიდი, რომელიც ძვ.წ. 500 წელს უნდა იყოს მოჭრილი დარიოს I-ის მიერ. აღმოჩნდა აგრეთვე აქემენიდური სიკლოსი (შუბოსანი გვირგვინიანი მეფის გამოსახულებით), რომელიც ასევე დარიოს I-ის მიერ ძვ. წ. 490 წელს მოჭრილად მიიჩნევა [7, 207]. აწყურიდან ზემოაღნიშნული აქემენიდური ზეგავლენის მიმანიშნებელი ხაზი, როგორც ჩანს, სამხრეთ – დასავლეთით, მდ. ჭოროხის (იგივე ქსენოფონტეს ფაზისი) ზედა დინებისაკენ უნდა წასულიყო. მაშინ ადვილად აიხსნება ის, რომ ამ რეგიონში მოსახლე კოლხები იმპერიის მიწაზე სახლობდნენ (შეად. 27): "კოლხები სახლდებოდნენ იმპერიის ტერიტორიაზე, და რადგანაც მათი მამულები,

როგორც ჰეროდოტე და სხვა ავტორები შენიშნავენ, მდებარეობდნენ ფაზისში, მდინარე ვერ იქნებოდა საზღვრის შემომფარგვლელი ხაზი. თუმცა ჩრდილოეთისკენ მომდევნო ბუნებრივი ბარიერი, ანუ დიდი კავკასიონი, მიანიშნებს თავის თავზე, როგორც იმპერიის საზღვარზე" [30; 46; 48]. საფიქრებელია, რომ აქემენიდურ იმპერიასთან ურთიერთობა ლიმიტირებული იყო კოლხეთის შიდა რაიონებით და აღმოსავლეთი კოლხეთი მართლაც შეადგენდა აქმენიდური იმპერიის სატრაპიის ნაწილს [31, 184; საწინააღმდეგო აზრი იხ. 7, 207; 19, 10], ანუ ეს ნომინალური მორჩილებაც შეეხებოდა მხოლოდ კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილს. შესაბამისად, ადვილად ასახსნელია ის ფაქტი, რომ ბერძნებს შავ ზღვაში აქემენიდების წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ - ასეთი ინტერესთა კონფლიქტი ძვ.წ. V-IV სს-ში არ არსებობდა, განსაკუთრებით ძვ. წ. 436/5 წლებში, პერიკლეს გააქტიურების პერიოდში (დეტალურად იხ. 25, 122 და შემდეგ]. თუმცა, ივარაუდება, რომ ათენელთა გააქტიურება დაიწყო ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს-ის 70-იან წლებში (ძვ. წ. 476/5 წწ), როდესაც მათ ქალაქი ბიზანტიონი დაიპყრეს, განუყოფლად გაბატონდნენ შავი ზღვის სრუტეებზე და ხელში ჩაიგდეს ვაჭრობა [7, 203]. აქემენიდური ნივთების გავრცელების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელ ხანებში გურიაში შემთხვევით აღმოჩენილი აქემენიდური ბრინჯაოს ლაგამი, რომელიც მეტ-ნაკლებ მსგავსებას ავლენს ითხვისსა და ვანში მოპოვებულ ცალებთან, თუმცა მხატვრული სახით ბევრად უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული. ჩიბათის ლაგამს მყარად დამაგრებული საყბეურები, ხოლო გარე ნაწილში საყბეურებზე სამი რგოლი აქვს. ამათგან ცენტრალური სალაგმო ნახვრეტი გაცილებით დიდია, გვერდითები კი შედარებით მცირე დიამეტრისაა. ლაგმის ღეროები, რომლებიც ერთმანეთთან რგოლებითაა დამაგრებული, კოპებითაა შემკული. იგი ისევე არის დამუშავებული, როგორც ათენის აქემენიდური ნგრევის ფენაში, პერსეპოლისსა და დევე – ჰუიუკში აღმოჩენილი სპარსული ტიპის ლაგმები [18, 180-188]. ჩიბათის საყბეური შესანიშნავად დამუშავებული, დინამიური სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდება. ესაა ნახტომში გამოსახული სფინქსი, რომელსაც უკანა ფეხები გაჭიმული აქვს, ხოლო წინა კი - ტანის ქვეშ

შემოკეცილი. სფინქსის ტანი საუკეთესო აქემენიდური ტრადიციების შესაბამისადაა დამუშავებული პარალელური ხაზებითა და რგოლებით, ეს გამოსახულება სტილისტური თვალსაზრისით ახლო ანალოგიებს პოულობს აქემენიდურ ლითონის ჭურჭელზე არსებულ ცხოველების გამოსახულებებთან [36, 177; 23, 43]. ჩიბათის ლაგამი განსხვავდება კოლხეთსა და ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა, მათ შორის ე.წ. სპარსული ტიპის ლაგმებისაგან (რეგიონის ლაგმების კლასიფიკაცია იხ.: [22]) თავისი განსაკუთრებული მაღალი მხატვრული დონით. სავარაუდოდ, ლაგამი ძვ.წ. V- IV სს - ს განეკუთვნება და აგრძელებს საყბეურების ცხოველური სტილით შემკობის ხანგრძლივ დასავლურ-ირანულ ტრადიციას (სხვადასხვა რეალური თუ მითიური ცხოველისა და არსებების გამოსახულებიანი ლაგმები კარგადაა ცნობილი ლურისტანულ და აქემენიდურ სამყაროში - გრიფონების, ჯიხვების, ადამიანის თავიანი ხარის, სფინქსის გამოსახულებიანი საყბეურები [50, 8-15]. შეად. აგრეთვე, ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული კოლექცია აშმოლენ მუზეუმიდან [45, 33-35].

მიუხედავად ბერძნული გავლენის გააქტიურებისა ადრეელინისტური ხანის კოლხეთში (იგი ორი მიზეზით იყო განპირობებული - ერთის მხრივ, აქემენიდური იმპერიის დაცემა – თუმცა კოლხეთში ამ ფაქტს დიდი როლი არ შეიძლება მივანიჭოთ - და მეორე მხრივ, ელინიზმისათვის ზოგადად დამახასიათებელი ბერძნული კულტურის ინფილტრაცია ქვეყნის შიდა რაიონებში), რაც პირველ რიგში ვანის ძვ.წ. IV ს-ის სამარხეულ ინვენტარსა და დაკრძალვის წესში გამოიხატა (მაგ., "ქარონის ობოლისა" და ამფორების ჩატანება სამარხში), აქემენიდური იმპულსები შიდა კოლხეთში შენარჩუნებული ჩანს ძვ.წ. IV საუკუნეშიც, თუმცა ბევრად უფრო მცირე მასშტაბებში. ვანის გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებული მონუმენტური კედელი, რომელიც შესაძლოა, ამ გავლენების ასახვაა (შედარებისათვის იხ. ციხიაგორას საფორტიფიკაციო კედლები [16]. საფიქრებელია, რომ ადგილობრივი და აქემენიდური კულტურული ტრადიციები ჯერ კიდევ თანაარსებობენ ძვ.წ. IV-III სს-ის ვანის არქიტექტურაში [39, 135-156].

მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ვანში აღმოჩენილი კირქვის ფრიზის ფრაგმენტი, რომელზეც მეეტლისა და ეტლის ნაწილის გამოსახულებაა შემორჩენილი. ეტლის „კოპებით" შეჭედილი ბორბალი იდენტურია იმ ეტლების ბორბლებისა, აქემენიდურ გამოსახულებებზე რომ გვხვდება: მაგ. დარიოსის საბეჭდავ-ბეჭედზე, ამუ-დარიის განძის ოქროს ეტლზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული [23, 191-238], ასევე, აპადანას რელიეფებზე [40, 144-149]. ასეთივე ბორბლებია აღმოჩენილი უფლისციხეშიც. არქიტექტურული დეტალი ვანიდან, რომელიც მონუმენტური შენობის ფრიზის დეტალი უნდა ყოფილიყო (იგი შეღებილი იყო , შემორჩენილია საღებავის კვალი), ადასტურებს ფაქტს, რომ აქემენიდური ტრადიცია ჯერ კიდევ იგრძნობოდა ამ „ ქალაქში" [ამ ფრიზის სხვაგვარი ინტერპრეტაცია იხ. 7]. გარდა ამისა, ასევე აქემენიდური ტრადიციის შენარჩუნების დასტურია ვანშივე აღმოჩენილი თიხის ორმაგპროტომიანი კაპიტელის იმიტაცია და თიხისავე რიტონი, რომელიც აქემენიდურ სტილშია მოხატული.

ძვ.წ. III საუკუნიდან სიტუაცია მკვეთრად იცვლება და მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი კულტურის ფონზე ბერძნული ელემენტი მართალია საკმაოდ სუსტად, მაგრამ გეოგრაფიულად მეტ-ნაკლებად ფართოდ ვრცელდება.

ლიტერატურა:

1. გრიგოლია, გ., ბარბაროსების დიდი ქალაქის ლოკალიზაცია. *ძეგლის მეგობარი,* #33, თბ. 1973. გვ. 50-8.

2. კახიძე ა., ვიკერსი, მ., თავამაიშვილი, გ., 2003-2004 წლებში ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე წარმოებული სამუშაოები. *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები 4,* 2007. გვ. 43-69.

3. ლორთქიფანიძე, ო., *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი,* თსუ, თბ. 1966.

4. ლორთქიფანიძე, ო., გიგოლაშვილი, ე., კაჭარავა, დ., ლიჩელი, ვ., I-IV სს-ის კოლხური კერამიკა ვანიდან. *„ვანი" ტ. V* (რედ. ოთარ ლორთქიფანიძე), მეცნიერება, თბ. 1981. გვ. 34-6.

5. ლორთქიფანიძე, ო., ვანის ნაქალაქარი. *„ვანი" ტ. I* (რედ. ოთარ ლორთქიფანიძე), მეცნიერება, თბ. 1971. გვ. 21.

6. ლორთქიფანიძე, ო., *ძველი კოლხეთის კულტურა.* ხელოვნება, თბ. 1972.
7. ლორთქიფანიძე, ო., *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან* (რედ.დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია). თსუ, თბ. 2002. გვ. 207.
8. ლორთქიფანიძე, ო., ძვ.წ. V-I სს-ის ქართლის (იბერიის) ისტორიის სადისკუსიო საკითხის შესახებ. *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, #1,* 1985, გვ. 141-65.
9. მელიქიშვილი, გ., კოლხეთი ძვ.წ. VI-IV სს-ში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I* (რედ. გ. მელიქიშვილი (მთ. რედ.), ი. ანთელავა, ვ. დონდუა და სხვ.). თბ. 1970.
10. მიქელაძე, თ., *ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან.* მეცნიერება, თბ. 1974.
11. ნადირაძე, ჯ., *საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი* (რედ. ო. ჯაფარიძე). საქართველო, თბ. 1990.
12. პაპუაშვილი, რ., კოლხური კელექტიური სამარხების შედარებითი ქრონოლოგია იარაღის მიხედვით. თბ. 1998.
13. პაპუაშვილი, რ., *სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. საკანდიდატო დისერტაციის რეფერატი.* თბ. 1989. გვ. 13-5
14. პაპუაშვილი, რ., პაპუაშვილი ნ., ნამარნუ, კრ. *"გურია", IV,* თბ. 2006, გვ. 46-67.
15. ყიფიანი, გ., *კაპიტელები* (რედ. ო. ლორთქიფანიძე). ხელოვნება, თბ. 1987.
16. ცქიტიშვილი, გ., *ციხია-გორას სატაძრო კომპლექსი.* თბ. 2001.
17. ჭყონია, ა., ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, *„ვანი" VI* (რედ. ო. ლორთქიფანიძე). მეცნიერება. თბ. 1981.
18. Ивантчик, А., *Киммерийцы и Скифы.* М. 2001. стр. 180-8.
19. Лордкипанидзе Г. *Колхида в VI-II вв. до. н. э.* Тб. 1978. стр. 10; 7-31.
20. Микеладзе, Т.К., *К археолгии Колхиды.* Тб. 1990. стр. 57. табл. XXIV 9-10.
21. Погребова, М.Н., *Иран и Закавказье в раннем железном веке.* М. 1977. стр. 43, Табл III-10.

22. Эрлих, В.Р., *Узда Колхиды и Центральной Грузии античной эпохи: к проблеме выделения традиций. „Археология степей восточной Европы и Кавказа в финале поздней Бронзы и в эпоху ранних кочевников.* М, 2000.
23. Boardman, J., *Die Perser und der Westen.* Mainz, 2003. pp. 191-238.
24. Boardman, J., *The diffusion of Classical Art in Antiquity,* The A.W. Mellon Lectures in the Fine Arts. Princeton University Press, 1993. p. 43, fig. 2.31.
25. Braund, D., *Georgia in Antiquity.* A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC – 562 AD. Clarendon Press, Oxford, 1994.
26. Gamkrelidze, G., *Ein Rhyton mit Golterdarstellung aus der Kolchis, „Archeologische Mitteilungen aus Iran und Turan"*30, 1999. pp. 211-6.
27. Georgien. *Schatze aus dem Land des Goldenen Vlies,* Bochum, 2001. p. 363.
28. Haerink, E., Overlat, B., Djub I., *Ganhar and Gul Khanan Murdah Iron Age III graveyards in the Aivan Plain. "Acta Iranica".* Encyclopedie permanente des etudes Iraniennes. Troisieme Serie, vol. XXII. Luristan Excavation Documents. Vol. III, 1991. p. 35.
29. Haerink, E., *Overlat, B., The Iron Age III graveyards at War Kabud, Pusht-I Kuh. "Acta Iranica"* vol. 42. Luristan Excavation Documents. Vol.V. 2004. p. 31-70. pl. 126.
30. Herodotus., 4.37; cf. 1.2 and 104;
31. Jacobs, 1994, p. 184; Achaemenid Rule In Caucasus.
32. Kacharava, D., Kvirkvelia, G., *Recent archaeological finds on the Upper Terrace of the Vani Site. "Ancient Civilizations from Scythia to Siberia".* vol. 14, NO 3-4, Brill, Leiden. p. 293. fig. 48.
33. Kakhidze, A., *Iranian Glass Perfume Vessel from the Pichvnari Greek Cemetery of the Fifth Century BC.* In Ivantchik, A., Licheli, V., (eds.), Achaemenid culture and local traditions in Anatolia – South Caucasus and Iran. New discoveries. Leiden, New York, 2007. pp. 31-47.
34. Knauss, F., *Ancient Persia and the Caucasus, "Iranica Antiqua".* vol. XL. 2006.
35. ნარიმანიშვილი გ., Pottery of Kartli (V-I სს. ჩვ. წ. აღ-მდე), თბ. 1982.

36. Koch, H., Es Köndet Dareios der König. *Vom Leben im Persischen Gros(b snairi)reich.* Kulturgeschichte der Antiken Welt, Band 55, Mainz/Rhein, 1996. p.177. Taf.19.
37. Licheli v. 1999. *The Black Sea – Vani – Samtskhe – the spreading route of black-glazed pottery.* Actes du II Symposium de Vani. Le Mer Noire zone de Contacts. Paris.p. 101-7.
38. Licheli, V., *New discoveries in Colchis, an interpretative version.* In R. Gordeziani (ed.) *"The Argonautica and World Culture".* Phasis, Greek and Roman Studies, 10, Tb. 2007. pp. 109-115.
39. Licheli, V., *Urban Development in Central Transcaucasia in Anatolian Context: New Data. "Ancient Civilizations from Scythia to Siberia"* 17. Brill, 2011. pp. 135-56.
40. Littauer, M.A., Crouwel, J.H., *Wheeled Vehicles and Ridden Animals in the Ancient Near East,* Leiden, Cologne, 1979. pp. 144-9.
41. Lordkipanidze, O., *The Golden Fleece: myth, euhemeristic explanation and archaeology.* Oxford Journal of Archaeology 20, Oxford, 2001. pp. 1-38.
42. Mikeladze, T., *Grosse Kollektive Grabgruben der frühen Eisenzeit in Kolchis. Archälogischer Anzeiger* I, 1995. pp. 2-22.
43. Mollazadeh, K., *The Pottery from the Mannean Site of Qalaichi,* Bukan (NW-Iran) *"Iranica Antiqua",* vol. XLIII, 2008.
44. Moorey, R.S., *The Bomford Gift of Ancient Persian Bronzes to the Ashmolean Museum,* The Burlington Magazine, Vol. 109, No. 766, 1967. pp. 33-5.
45. Moorey, P.R.S., *Towards a Chronology for the "Lūristān Bronzes"* Vol. 9, Iran, 1971. pp. 113-29.
46. Nonnos, 13. 248-52.
47. Papuashvili, R., *Collective burial pit 4 of Ergeta II burial ground. "Journal of Georgian Archaeology"* 1, 2004. pp. 152-4
48. Strabo, 11.2.17 [C 498]).
49. Thomatos, M, *The final revival of the Aegean Bronze Age.* Oxford. pp. 220-36. Bull Statuettes. 2006.
50. Vickers, M., Kakhidze, A., Pichvnari I: *Results of Excavations Conducted by the Joint British-Georgian Pichvnari Expedition 1998-2002. Greeks and Colchians on the East Coast of the Black Sea.* Oxford, Batumi, 2004.
51. Waldbaum, J.C., *Luristan Bronzes,* Record of the Art Museum, Princeton University, Vol. 41, No. 2, 1973. pp. 8-15.